

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგი“-ს მიერ ჩატარებული

შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში

კვლევის მიზანი:

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზარზე დამსაქმებლების მხრიდან არსებული მოთხოვნებისა და საჭიროებების შეფასება დენტალური საქმის მიმართულებით, დადგინდეს, რამდენად მოთხოვნადია შიდა ქართლის რეგიონისთვის დენტალური საქმის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: **კბილის ტექნიკოსი, სტომატოლოგის ასისტენტი და პირის ღრუს ჰიგიენისტი.**

კომპლექსური კვლევა დაიგეგმა და ჩატარდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მიერ. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს შიდა ქართლში არსებული სტომატოლოგიური კლინიკები და სკოლის 8-12 კლასის მოსწავლეების მშობლები.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს სიღრმისეული ინტერვიუს 2 გზამკვლევი და ჩატარეს კვლევა კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რათა დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამების აქტუალობა, საჭიროება და მიზანშეწონილობა, განხორციელების მიდგომა/ფორმა და პროგრამების განხორციელების რისკები.

კოლეჯისთვის კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც ავტორიზაციის მიზნებისთვის (პროგრამების დამატება), ასევე საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარებისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით.

კოლეჯში დანერგილია რაოდენობრივი/თვისებრივი კვლევის ჩატარების პრაქტიკა, შემუშავებულია და კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სხვადასხვა შინაარსის კითხვარები პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, დამსაქმებლებისა თუ კურსდამავრებულებისათვის. შემუშავებულია და კოლეჯის დირექტორის მიერ მიმდინარე წელს დამტკიცებულია კვლევის მეთოდოლოგია, სწორედ ამ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მოხდა აღნიშნული თვისებრივი კვლევის ჩატარება და შედეგების დამუშავება.

კვლევის ინსტრუმენტი:

სიღრმისეული ინტერვიუსთვის შემუშავდა 2 გზამკვლევი. გზამკვლევები იმგვარადაა აგებული, რომ რესპონდენტს აძლევს საშუალებას სრულფასოვნად გამოხატოს საკუთარი პოზიცია, დააფიქსიროს შესაბამისი რეკომენდაციები. ინტერვიუსთვის საჭიროა მაქსიმუმ 30 წთ.

კვლევის ეტაპები:

1. კლასტერული შერჩევა - სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა შიდა ქართლში არსებული სტომატოლოგიური კლინიკების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და მათთან კომუნიკაცია. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 16-მა რესპონდენტმა. შრომის ბაზრის კვლევა გაამყარა მეორე ინტერვიუს შედეგებმა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ასევე მოხდა იმ რესპონდენტთა ინტერვიუება, რომელთა შვილები სკოლის 8-12 კლასების მოსწავლეები არიან.
2. საველე ეტაპი - კვლევის საველე ეტაპი ჩატარდა 2021 წლის სექტემბერში. ინტერვიუში მონაწილეობდნენ სტომატოლოგიური კლინიკების წარმომადგენლები და დენტალური საქმის სფეროს დარგის ექსპერტები. კვლევის შედეგების დამუშავება/გაანალიზება მოხდა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ და შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა კოლეჯის დირექტორს.
3. კვლევის შედეგების დამუშავება/გაანალიზება - 2021 წლის 10 ოქტომბრამდე მოხდა ინტერვიუს შედეგების დამუშავება/გაანალიზება.

კვლევის შედეგების ანალიზი:

წინამდებარე კვლევის საფუძველზე კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგისასისტენტი)**, რომელშიც არ იქნება ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ვინაიდან კოლეჯის მიერ შიდა ქართლის/გორის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსახლეობა არ არის მზად მათმა შვილებმა სწავლა გააგრძელონ კოლეჯში ისეთ პროგრამებზე, სადაც ინტეგრირებული იქნება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა სტომატოლოგიურმა კლინიკების ხელმძღვანელებმა/წარმომადგენლებმა:

1. ი.მ. ნინო მაისურაძე
2. ნიუ სმაილი
3. Euro-dent
4. ელიტი
5. Toothart
6. მაქს დენტი.max dent
7. შპს დენტალ ლენდი
8. ანა დავითიძის სტომატოლოგიური კლინიკა
9. N1 ფასიანი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა
10. ნინო მაისურაძის სტომატოლოგიური კლინიკა
11. ბრაით სმაილი
12. ბი ელ დენტი
13. შპს "ბი.ელ.დენტი"
14. შპსPMP-დენტი
15. ი.მ.მზია რაზმაძე M dent
16. უნიდენტი

გამოკითხული კლინიკების 58% მდებარეობს გორში, რესპონდენტებს დაკავებული აქვთ სხვადასხვა პოზიციები: 7 რესპონდენტი კლინიკის ხელმძღვანელი, 4 რესპონდენტი ექიმი თერაპევტი, 6 რესპონდენტი ექიმი სტომატოლოგი, 1 რესპონდენტი ორთოპედი და 2 რესპონდენტი ქირურგი. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ამბობს, რომ მათ სტომატოლოგიურ კლინიკებში მუშაობენ პროფესიული განათლების მქონე პირები ტექნიკოსის, ექიმის ასისტენტის, ექთნის, კბილის ტექნიკოსის და რენტგენოლოგის ასისტენტის პოზიციაზე. გამოკითხულთა 41% ამბობს, რომ კლინიკის სანიტარული უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მქონე პირი.

გამოკითხულთა 62% კლინიკაში საჭიროებს სტომატოლოგის ასისტენტს. სტომატოლოგიური კლინიკების ხელმძღვანელთა თითქმის 77% დაასაქმებს პირს პროფესიული განათლებით კბილის ტექნიკოსის პოზიციაზე, ხოლო თითქმის 88% დაასაქმებს პირს პროფესიული განათლებით სტომატოლოგის ასისტენტის პოზიციაზე.

ინტერვიუ ასევე ჩატარდა სკოლის 8-12 კლასის მოსწავლეების მშობლებთან. გამოკითხულთა 42% მეცხრე კლასელი მოსწავლის მშობელია. რესპონდენტთა 57%-თვის ცნობილია, რომ გორში არსებობს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგი“. რესპონდენტთა 57%-ს არ აქვს სურვილი, რომ მათმა შვილმა ისწავლოს კოლეჯში საშუალო საფეხურზე (10-12 კლასში), სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. გამოკითხვის დროს 71%-თვის არ არის ცნობილი, რომ ინტეგრირებული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა შესაძლებელია სწავლა გააგრძელოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

ერთ-ერთი კითხვა აძლევს საშუალებას რესპონდენტს დააფიქსიროს მისთვის საინტერესო/საჭირო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შეთავაზებული სამი პროგრამიდან: კბილის ტექნიკოსი, სტომატოლოგის ასისტენტი და პირის ღრუს ჰიგიენისტი, რესპონდენტთა 66,7%-მა დააფიქსირა, რომ სიამოვნებით ისწავლიდა/შვილს ურჩევდა ესწავლა პროგრამაზე „სტომატოლოგის ასისტენტი“.

გამოკითხვის დროს დაფიქსირდა კომენტარი, რომელმაც მიიქცია ყურადღება: „ინტეგრირებული პროგრამა გრძელდება 3 წელი, არაინტეგრირებული 1,5 წელი, მირჩევნია ვისწავლო მოკლევადიან პროგრამაზე“.

10.10.2021

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი